დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი

პრეამბულა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომ - უნივერსიტეტი) აღიარებს და იცავს აკადემიურ კეთილსინდისიერებას, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის ისტორიულ ღირებულებებსა და ტრადიციებს. უნივერსიტეტის მისიის სრულყოფილად რეალიზებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის გაცნობიერებასა და სათანადო ეთიკური ქცევის წესის დამკვიდრებას.

უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობა, სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესი ემყარება აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისოდ აღიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს: პატიოსნებას, ნდობას, სამართლიანობას, პატივისცემას, პასუხისმგებლობას და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი (შემდგომ - პოლიტიკის დოკუმენტი) განსაზღვრავს აკადემიურ საქმიანობაში, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიურ კეთილსინდისიერებას, მისი დარღვევის პრევენციის, მასზე რეაგირებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად საფუძვლებს და ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებზე.

მუხლი 2. აკადემიური კეთილსინდისიერების ცნება

აკადემიური კეთილსინდისიერება გულისხმობს პირის ქმედებას პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ღირებულებების შეგნებითა და იმ რწმენით, რომ ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია აკადემიური სივრცისა და მიზნებისთვის.

მუხლი 3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია

უნივერსიტეტი მოქმედებს მის ხელთ არსებული საშუალებებით, რათა გამორიცხოს აკადემიური კეთილსინდისიერების ნებისმიერი დარღვევა ცნობიერების ამაღლების, სწავლებისა და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირების სამართლიანი მექანიზმებით.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამისა და ელექტრონული სწავლების პორტალის ეფექტიან გამოყენებას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.

მუხლი 4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა და თანმდევი შედეგი

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა დაუშვებელია. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ცალკეული სახეები, მათზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირება და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით, პროპორციულობის, მიუკერძოებლობის, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პოლიტიკის დოკუმენტიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას მასში გაცხადებული ღირებულებებისა და პრინციპების დასაცავად.